პროლეტარებო! ყველა ძალაუფლება, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 1 დეკემბერი, 1944 წ. № 241 (7194). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიასთან ომის მოგება ნიშნავს დიდი ისტორიული საქმის განხორციელებას. მაგრამ ომის მოგება კიდევ არ ნიშნავს ხალხთათვის მომავალში მტკიცე მშვიდობიანობის და საიმედო უშიშროების უზრუნველყოფას. ამოცანა მარტო ის კი არ არის, რომ ომი მოვიგოთ, არამედ ისიც, რომ ახალი აგრესიისა და ახალი ომის წარმოშობა შეუძლებელი გავხადოთ, თუ სამუდამოდ არა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მაინც.

ი. სტალინი

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ ჯოზეფ სტალინს

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, გადალახეს **დუნაი** მდინარე **დრავის** ჩრდილოეთით, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა **დუნაის** დასავლეთ ნაპირზე, წინ წაიწიეს 40 კილომეტრამდე სიღრმით და გააფართოვეს გარღვევა 150 კილომეტრამდე ფრონტით.

შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა უნგრეთის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქები და კომუნიკაციათა დიდი კვანძები **პეჩი, ბატაჟეკი, მოხაჩი** და ბრძოლებით დაიკავეს 330-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

ბრძოლებში **დუნაის** გადალახვისას და მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **შაროხინის**, გენერალ-მაიორ **აკიმენკოს**, გენერალ-მაიორ **კრავცოვის**, გენერალ-მაიორ **გლაგოლევის** ჯარებმა, გენერალ-ლეიტენანტ **კოსტა ნაჯის** იუგოსლავიელთა კორპუსმა, პოლკოვნიკ **პეტრუშინის**, გენერალ-მაიორ **დრეიერის**, გენერალ-მაიორ **ლაზარევის**, გენერალ-მაიორ **კოზაკის**, პოლკოვნიკ **მუხამედიაროვის**, გენერალ-მაიორ **კულიჟსკის**, პოლკოვნიკ **სიდორენკოს**, პოლკოვნიკ **სიჩევის**, გენერალ-მაიორ **ცვეტკოვის**, პოდპოლკოვნიკ **სავიჩის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ნედელინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ბრეიდოს**, პოლკოვნიკ **გლუშკოვის**, პოლკოვნიკ **გლადკოვის**, პოლკოვნიკ **გონჩაროვის**, პოლკოვნიკ **უსიკის**, პოდპოლკოვნიკ **შპეკის**, პოდპოლკოვნიკ **რახლინის**, მაიორ **სელეზნევის**, პოდპოლკოვნიკ **სნიტინის**, პოდპოლკოვნიკ **ნიზკოვის** არტილერისტებმა; პოლკოვნიკ **პუშეჩკის**, პოლკოვნიკ **ზავიალოვის**, პოდპოლკოვნიკ **მუხინის**, პოდპოლკოვნიკ **დვორკინის**, მაიორ **კატილოვის**, პოდპოლკოვნიკ **შევკინის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **სუდეცის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ტოლსტიკოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ბელიცკის**, პოლკოვნიკ **სმირნოვის**, პოდპოლკოვნიკ **შატილინის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ტიშჩენკოს**, პოლკოვნიკ **ნედოსეკინის**, პოლკოვნიკ **ივანოვის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **კოტლიარის**, პოლკოვნიკ **ნოვინასის**, პოდპოლკოვნიკ **რიბალსკის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კოროლევის**, პოლკოვნიკ **სტაროლეტოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ბრძოლებში **დუნაის** გადალახვისას და მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას, წარდგენილ იქნან „**დუნაის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 29 ნოემბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **უკრაინის** მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, მათ შორის გენერალ-ლეიტენანტ კოსტა ნაჯის იუგოსლავიელთა კორპუსს, რომლებმაც გადალახეს **დუნაი** და გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში **დუნაის** გადალახვისას და მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 29 ნოემბერი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს
საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის
ფრონტის შტაბის უფროსს
გენერალ-პოლკოვნიკ ზახაროვს

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დღეს, 30 ნოემბერს, დაიკავეს უნგრეთის საოლქო ცენტრები — ქალაქები **ეგერი** და **სიქსო** — კომუნიკაციების დიდი კვანძები და მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები.

ქალაქების **ეგერისა** და **სიქსოს** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **შმაჩენკოს**, გენერალ-პოლკოვნიკ **ტროფიმენკოს**, გენერალ-ლეიტენანტ **მანაგაროვის**, გენერალ-მაიორ **ოსტაშენკოს**, გენერალ-მაიორ **მერკულოვის**, გენერალ-მაიორ **შმანსკის**, გენერალ-მაიორ **ოგოროდოვის**, გენერალ-მაიორ **კონევის**, გენერალ-მაიორ **ესინის**, გენერალ-მაიორ **ტიმოშკოვის**, პოლკოვნიკ **ბოჩკოვის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ **ზიკოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კორეცკის**, პოლკოვნიკ **საგაჩის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **კუტრაკინის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **გორიუნოვის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **პეტროვის**, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ტუპიჩევის** მესანგრეებმა; პოლკოვნიკ **გორელკინის**, პოლკოვნიკ **მაკარენკოს**, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკ **კარპოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების **ეგერისა** და **სიქსოს** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად:

დღეს, 30 ნოემბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **უკრაინის** მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქები **ეგერი** და **სიქსო**.

ჩინებული საბრძოლო ნოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქების **ეგერისა** და **სიქსოს** დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 30 ნოემბერი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
29 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, გადალახეს **დუნაი** მდინარე **დრავის** ჩრდილოეთით, გაარღვიეს მტრის თავდაცვა **დუნაის** დასავლეთ ნაპირზე, წინ წაიწიეს 40 კილომეტრამდე სიღრმით და გააფართოვეს გარღვევა 150 კილომეტრამდე ფრონტით.

ფრონტის ჯარებმა შეტევის მსვლელობაში დაიკავეს ქალაქები და კომუნიკაციათა დიდი კვანძები **პეჩი, ბატაჟეკი, მოხაჩი** და ბრძოლებით დაიკავეს 330-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ბატა, შო�ბერეკი ლანჩოკი, დუბოშევიცა, ბატინა, ზმაევაცი, კნეჟევი-ვინოგრადი, ლუგი, დარდა, მორადი, ვემენდი, ხემეშხაზა, ლიპტოდი, ნემეტ-ბოლი, ხერცეგ ტეტეში, ბელი მანასტირი, იაგოდნიაკი, ალშო-ნანა, ფეკედი, ალატ-ვარაშდი, კატოკი, პეჩუდვარდი, ვილანი, ხარშანი, ბერემენდი, ბოლმანი** და რკინიგზის სადგურები **მორადი, ბატა, პალოტა-ბოშოკი, ფეკედი, ნემეტ-ბოლი, ვილანი, ხარშანი, ბერემენდი, შირინე, ბელი მანასტირი, ზმაევაცი, ბატინა, ჩემინაცი, დარდა.**

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

30 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

30 ნოემბრის განმავლობაში **ჩეხოსლოვაკიის** ტერიტორიაზე ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ბერეზნიცა, მინიოვცე, კელჩა, ველიკაია დომაშა, დომაშა, ნიჟნი ბრაგოვეცი, ნიჟნი ბრუშოვი, რაკოვცე, მორავიანი, მარკოვცე, ზემპლინი.**

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, 30 ნოემბერს დაიკავეს კომუნიკაციების დიდი კვანძები და მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები—უნგრეთის საოლქო ცენტრები ქალაქები **ეგერი** და **სიქსო**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ბეკეჩი, მედიასო, კიშ-დობსა, არნოტი, ვარაშე, კაჩი, ნოსვაი.**

ქალაქ **პეჩის** ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **დეჩი, ეჩენი, კაკაშდი, სალკა, ბერეშენი, მეჩენი, ციკო, პეჩვარადი, ვაშაში, ნემეტი, ბიშე, შიკლოში, ოლდი** და რკინიგზის სადგურები **სარპილის ოგერეკი, დეჩი, ეჩენი, ხიდაშ-ბონხადი, ნად კალი, პეჩვარადი, ჩოკოლადე, შიკლოში.**

იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებდნენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი **კრალიევო.**

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებენ.

29 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 29 ტანკი.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. ქალაქ გუმენეს ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგემ შეიტანა თავისი შებერტყილი ნაწილები ახალი ძალებით და არაერთხელ გადმოვიდა კონტრიერიშებზე. საბჭოთა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიშები და ფლანგებიდან დარტყმით უკუაგდეს გერმანელები. ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ მთა-ტყიან ადგილებში და მიადგნენ მდინარე ონდავას, მოსპობილია 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. გერმანელებს წაართვეთ 2 ტანკი, 4 თვითმავალი ქვემეხი, 14 საველე ქვემეხი, დიდძალი შაშხანა და ავტომატი. წამოყენილია 130 ტყვე.

* * *

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. შეუპოვარი ბრძოლებიდან შედეგად ჩვენი ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი სიკსო, მოწინააღმდეგის თავდაცვის მარტო ამ დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტის მისადგომებზე საბჭოთა მებრძოლებმა გაანადგურეს 700 ჰიტლერელი და უფროსი ოფიცერი. ტყვედ წამოიყვანეს 350 გერმანელი და უმაღლესი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 18 ქვემეხი, 32 ტყვიამფრქვევი, ორი საწყობი სამეთაო მასალიანად და სხვა ლაფი. სხვა ერთანეს ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ეგერი. მოწინააღმდეგე შეუპოვრად იცავდა ამ ქალაქს, რომელიც კარპატების სამხრეთ კალთებზე გერმანელთა თავდაცვის ერთერთ ძირითად კვანძს წარმოადგენდა. გერმანელებმა გამოიყენეს ძლიერ დაეარული ადგილმდებარეობა და ქალაქის მიადგომებზე ძლიერი სიმაგრეები ააგეს. ტყვეებმა გვაცნობეს, რომ გერმანიის სარდლობამ უბრძანა თავის ჯარებს რადაც უნდა დაუჯდეს მოდათ შეენარჩუნებინათ ეგერი. ჩვენმა ჯარებმა აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან შემოუარეს ქალაქს და გარშემორტყმის საფრთხე შეუქმნეს მტრის გარნიზონს. მოწინააღმდეგე იძულებული იყო გაეძლიერებინა თავისი ფლანგები ცენტრალური უბნის შესუსტების ხარჯზე. ჩვენმა ჯარებმა ამით ისარგებლეს, სამხრეთიდან დარტყეს და რკინიგზის სადგური დიკავეს, შემდეგ კი ქალაქის ქუჩებში შეიჭრნენ. საბჭოთა მებრძოლები ზედიზედ სწმენდდნენ ჰიტლერელებისაგან უბნებს და დღეს, დღის ბოლოს, მთლიანად დაიკავეს ქალაქი ეგერი. ტყვედ წამოყვანილია 400 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დიდძალი საკუთრელი და სამომარი მასალა.

* * *

ქალაქ **ჰეჩის** ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა განდევნეს მოწინააღმდეგე მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან. დაკავებულია გზების კვანძი შაკლოში. გერმანელებს, რომლებიც ჩვენი ჯარების დარტყმების გამო უკან იხევენ, მძიმე ზარალი მოსდით ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. მარტო ერთ უბანზე მოსპობილია მტრის ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი, 7 თვითმავალი ქვემეხი, 6 საარტილერიო და სანადმტყორცნო ბატარეა.

* * *

იუგოსლავიაში, ქალაქ ბელგრადის სამხრეთით, ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებენ, დაიკავეს რკინიგზის კვანძი და ქალაქი კრალიევო. ქალაქისათვის ბრძოლებში გერმანელებმა მარტო მოკლულთა სახით 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. გერმანელებს წაართვეთ ერთი თვითმფრინავი, 4 ტანკი, 22 ტრაქტორი, 60 ავტომანქანა, 49 ორთქლმავალი, 2.150 ვაგონი, მათ შორის 700 ვაგონი ქვანახშირიანად.

* * *

ბალტიისპირეთის 1-ლ ფრონტზე ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 268-ე ქვეითი დივიზიის 485-ე პოლკის მე-2 ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა ანტონ ჰოიფელდერმა ჯერ ასაბადი: „ჩვენი დივიზია ამას წინათ გადაყვანილ იქნა ფრონტის ახალ უბანზე. როცა ჩვენმა ბატალიონმა ზღუდე დიკავა, მე უმაცარესი ბრძანება მიკიღე—დამეცვა ჰოზიციები, სანამ ერთი ჯარისკაცი მაინც დამრჩებოდა. რამდენიმე დღის წინათ საბჭოთა ქვეგანყოფილებამ ორი მხრიდან მოატანეს იერიში ჩვენს ჰოზიციებზე. მალე რუსი მეავტომატეები უკვე მოქმედებდნენ ბატალიონის საკომანდო პუნქტის ზურგში. ასეულებმა მძიმე ზარალი განიცადეს, რომლის ზუსტი ოდენობის დადგენა შეუძლებელი იყო პანიკის გამო. ჩემთან მხოლოდ 7 ჯარისკაცი დარჩა, რომლებთანაც ერთად ტყვედ დაგნებდით. უკვე ტყვეობაში რომ ვიმყოფებოდი, შევხვდი ობერ-ლეიტენანტ გეორგ შტაინს, ლეიტენანტ ლიუდვიგ შმიდტს და ჩემი ბატალიონის ბევრ ჯარისკაცს“.

დასასრულ ტყვემ განაცხადა: „ტიუუმსსა და ლიბავას შუა მდებარე რაიონში გარშემორტყმულია გერმანელთა 30-ზე მეტი დივიზია. მეეთხაობა არ არის საჭირო იმაზე, რა ბედი ელის მათ. მწარე გამოცდილების საფუძველზე ვიცით, თუ ჩვეულებრივად რით მთავრდება მაკავი გარშემორტყმანი აღმოსავლეთის ფრონტზე. ზოგი „ქვაბი“ ძალიან ცოტა ხანს ისაზღვრება, ზოგი უფრო ხანგრძლივი ვადის განმავლობაში სძლებდა, მაგრამ ყველა ეს „ქვაბი“ ლიკვიდირებულ იქნა რუსების მიერ. საერთოდ ხვედრი მოელით იმ დივიზიებსაც, რომლებიც ამჟამად ბალტიისპირეთში იმყოფებიან. ზღვით ევაკუაცია უკვე გვიან არის, ხმელეთით გაჭრა კი შეუძლებელია. ოცდაათი დივიზიის მსხვერპლად შეწირვით ჰიტლერს იმედი აქვს დრო მოიგოს. მას სურს ასეთისათვის გერმანელის სიცოცხლის ფასად გადასწიოს მისთვის საბედისწერო დასასრული“.

სსრ კავშირში ჩამოვიდა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაური გენერალი დე გოლი

ბაქო, 29 ნოემბერი. (საკუთრ.). 27 ნოემბერს 14 საათზე ბაქოში ჩამოვიდნენ საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაური გენერალი დე გოლი და მისი თანმხლები პირები. აეროდრომზე გენერალ დე გოლს შეხვდნენ აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები და სიგანრეო საქმეთა სახალხო კომისარიატის და თავდაცვის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები, რომლებიც მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ბაქოს შესახვედრად.

საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირს ნაციონალური ბაირაღებით მორთულ აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. ორკესტრმა შეასრულა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნები. საღამოს გენერალი დე გოლი დაესწრო სპექტაკლს „ქალრიღლის“ აზერბაიჯანის სათეატრო თეატრში.

ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო ვინერალი დე გოლი და მისი თანმხლები პირები მეორე დღეს ბაქოდან მოსკოვს სპეციალური მატარებლით გაემგზავრნენ.

* * *

სტალინგრადი, 30 ნოემბერი. (საკუთრ.). ვოსკოვს მიმავალი საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაური გენერალი დე გოლი და მისი თანმხლები პირები დღეს სპეციალური მატარებლით სტალინგრადს ჩამოვიდნენ. ვაგზალზე გენერალ დე გოლს შეხვდნენ აღგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლები. ვაგზლიდან გენერალი დე გოლი გაემართა საოლქო აღმასკომისაკენ, სადაც ფრანგი ხალხის სახელით სტალინგრადს გადასცა მემორიალური დაფა. ამ საქმეზე გადაცემისას გენერალმა დე გოლმა სთქვა: „ბატონო საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე! გვიდლობთ თქვენ და მთელ ქალაქ სტალინგრადს თქვენი გულთბილი სიტყვებისა და იმ ჯილდისათვის, რაც აქ აღმომიჩინეთ. მე მსურს ღირსეული მივუზღო სტალინგრადს და ალვანიშნო ის გაკვეთილი, რომელსაც ეგი ჩვენ გვაძლევს. მებრძოლი ფრანგი ხალხის მხურვალე სალამს ვუძღვნი გმირულ სტალინგრადს—ტანკზე ჩვენი საერთო გამარჯვების სიმბოლოს, ეგი წარმოადგენს არა მარტო გამარჯვებათა სიმბოლოს, ეგი წარმოადგენს იმის შესანიშნავ გაკვეთილს, თუ რას გაკეთება შეუძლიათ მოკავშირეებს, რომლებიც გაერთიანდნენ საძულველი გერმანიის წინააღმდეგ. მომავალში გერმანია ვერასოდეს ვერ შეძლებს კვლავ აღმართოს იარაღი დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ. მე მსურს გადავცე გმირულ სტალინგრადს ფრანგი ხალხის უბრალო, მაგრამ გულწრფელი საჩუქარი.

გაუმარჯოს გმირულ სტალინგრადს!

გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებას საერთო მტერზე!“

საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბიგოლევმა საპასუხო სიტყვაში მადლობა გადაუხადა გენერალ დე გოლს საჩუქრისათვის. გენერალმა დე გოლმა შემდეგ დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები და ინახულა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა. შემდეგ გენერალ დე გოლს აჩვენეს ფილმი „სტალინგრადი“.

იმავე დღეს გენერალმა დე გოლმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დასტოვეს სტალინგრადი და მოსკოვს გაემგზავრნენ.

სერგეი მირონის-ძე კიროვი

1934 წლის 1 დეკემბერს შესწყდა **სერგეი მირონის-ძე კიროვის** მაჯისცემა.

ათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ფაშიზმის მოსყიდულმა აგენტებმა, კონტრრევოლუციონერმა ტროცკისტ-ბუხარინელებმა ავაზაკურად მოჰკლეს რევოლუციის ეს მგზნებარე ტრიბუნი. კიროვის დაკარგვით ჩვენმა ქვეყანამ, პარტიამ და ხალხმა უდიდესი დანაკლისი განიცადეს.

კიროვი იყო **ლენინისა** და **სტალინის** უახლოესი მოწაფე, ერთგული თანამებრძოლი და მეგობარი. იგი ეკუთვნოდა ბოლშევიკთა სახელოვან კოჰორტას, მან მთელი სიცოცხლე მოანდომა სოციალიზმის საქმეს, მშრომელი ხალხის ინტერესების გამარჯვებას. უსაზღვრო იყო მირონიჩის სიყვარული ხალხისადმი და ხალხსაც ასევე უყვარდა იგი. კიროვის ნათელი სახე, მთელი მისი ცხოვრება და ბრძოლა მილიონობით მშრომელს შთაგონებს სახელოვან საგმირო საქმეებს საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად, გზას უჩვენებს გამარჯვების მიმაღწევად. კიროვის არსებაში საუკეთესოდ გაერეოდა ბოლშევიკების ყველა შესანიშნავი თვისება.

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით კიროვი რაზმავდა მშრომელებს სოციალისტური რევოლუციისათვის. განსაკუთრებით დიდია კიროვის დამსახურება კავკასიის ხალხების წინაშე. მშრომელი მასების დაუღალავი ორგანიზატორი, ჩვენი დროის ერთერთი უდიდესი ორატორი, პროპაგანდისტი და აგიტატორი, კავკასიის ხალხებს აღაგზნებდა ბოლშევიკური იდეების გამარჯვებისათვის.

სერგეი მირონის-ძე კიროვი შესანიშნავი სტრატეგი და მხედართმთავარი იყო. ვოლგის ნაპირებზე და აღმოსავლეთის ველებში, ბრძოლის ყველა ფრონტზე კიროვმა გვიჩვენა ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი, იგი მეთაურობდა მე-11 არმიას. კიროვის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული 1919 წელს ასტრახანის გმირული დაცვა, რაც მას დიდმა ლენინმა და დიდმა სტალინმა დაავალეს. დიდმა პატრიოტმა და რევოლუციონერმა კიროვმა გამყიდველ ტროცკის საზიზღარ ბრძანებას ასტრახანის ევაკუაციის შესახებ დაუპირისპირა ლოზუნგი: „ბოლომდე დავიცვათ ასტრახანი!“ ამ დროს ამბობდა კიროვი თავის შესანიშნავ სიტყვებს, გმირულს და შეუპოვარს, მხეს და ვაჟკაცურს, აღმაფრთოვანებელს და მომწოდებელს: „სანამ ასტრახანის მხარეში თუნდაც ერთი კომუნისტია, მდინარე ვოლგის შესართავი საბჭოთა იყო, არის და იქნება!“

ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს, რომ მისი ისტორიის ყველაზე უფრო მძიმე პერიოდში სერგეი მირონიჩმა მას დიდი დახმარება გაუწია საძულველი მენშევიკური მთავრობის დამხობაში.

უდიდესია სერგეი მირონიჩის როლი გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობის მიღწევებში. კიროვის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა ბაქოს ნავთის მრეწველობის პირველი წარმატებანი, რაც მთელი გადატრიალება იყო ნავთის მოპოვების ტექნიკაში.

სერგეი მირონის-ძე კიროვი უდიდეს მუშაობას აწარმოებდა ლენინგრადის გადაქცევისათვის ჩვენი ქვეყნის მძლავრ ფორპოსტად. ლენინგრადელმა ბოლშევიკებმა კიროვის უშუალო ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გასწიეს სტალინური სუთწლედების წარმატებით შესრულებისათვის. ისინი საყვარელი კიროვის მეთაურობით დაუნდობლად ანადგურებდნენ იქ მოკალათებულ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველებს.

სერგეი მირონის-ძე უდიდეს ყურადღებას აქცევდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვითს ძლიერებას. ასევე მზრუნველობით ეკიდებოდა ლენინგრადის თავდაცვის განმტკიცებას. საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ დაივიწყებენ კიროვის უდიდეს ღვაწლს ლენინგრადის გადაქცევაში იმ ციხე-სიმაგრედ, რომელმაც არა მარტო გაუძლო საშინელ ჰიტლერულ ბლოკადას მიმდინარე სამამულო ომში, არამედ ნევის, ამ გმირული ქალაქის კედლებთან, ოქტომბრის რევოლუციის ამ აკვანთან დამსხვრეულ იქნენ რჩეული ფაშისტური დივიზიები. ლენინგრადმა კვლავ ამაყად ააფრიალა გამარჯვების დროშა!

კიროვს ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის გმირი წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, საბჭოთა ავიაციის განვითარებაში.

კიროვის სიტყვები და საქმეები მთელ საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებდნენ და აღაფრთოვანებენ სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად, ვერაგ მტერთა თავზარდასაცემად.

დღეს წითელი არმია დიდი სტალინის მთავარსარდლობით იბრძვის მტერს აღმოსავლეთ პრუსიაში, დუნაის დასავლეთ ნაპირზე, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე. ჩვენი სამშობლო აბოლოოდ და სამუდამოდ გაწმენდილია ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან. ფაშისტი მხეცი სრული კატასტროფის წინაშე დგას და ახლოა ის დღე, როცა წითელი არმიის გმირული პოლკები და დივიზიები, კორპუსები და არმიები საბოლოოდ მოსპობენ ჰიტლერელ მხეცს მისსავე საკუთარ ბუნაგში. გამარჯვების დროშა ბერლინში.

წითელი არმიის ამ ძლევამოსილ წინსვლაში საბჭოთა ადამიანები ხედავენ იმ საქმის გამარჯვებას, რომელაც მთელი თავისი ბრწყინვალე, გმირული, აღმაფრთოვანებელი და მგზნებარე სიცოცხლე შესწირა დიდი რუსი ხალხის დიდმა შვილმა სერგეი მირონის-ძე კიროვმა.

საბჭოთა ხალხის, მილიონობით შრომელთა გულში მარადიცოცხლებს სერგეი მირონის-ძე კიროვი. მისი ნათელი ხსოვნა თაობიდან თაობას გადაეცემა. ლენინისა და სტალინის ერთგული მოწაფის, უახლოესი თანამებრძოლისა და მეგობრის, რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის კიროვის მარად დაუვიწყარი სახე ყოველთვის იქნება საბჭოთა ადამიანების სახელოვანი საქმეების შთამაგონებელი. საუკუნიდან საუკუნეს გადაიცემა სახალხო სიმღერები კიროვის გმირულ ცხოვრებასა და ბრძოლაზე საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ, ჩვენი ხალხის საბედნიეროდ!

გერმანელთა თავდაცვის ახალი გარღვევა

სასიხარულო ამბავი მოედო გუშინ მთელ ჩვენს ქვეყანას: წითელმა არმიამ მტერს ახალი სასტიკი დარტყმა აგება. უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა გადალახეს დუნაი მდინარე დრაგის ჩრდილოეთით, გაარღვიეს მტრის თავდაცვა დუნაის დასავლეთ ნაპირზე და გარღვევა გააფართოეს 150-მდე კილომეტრი ფრონტით და 40-მდე კილომეტრი სიღრმით.

„გაარღვიეს მტრის თავდაცვა...“ ეს სიტყვები უკვე ჩვეულებრივი გახდა. მაგრამ რამდენი უდიდესი შრომა, დიდი საბრძოლო საგმირო საქმეები, ნამდვილი ნიჭი ჩაქსოვილი ამ მოკლე ფორმულაში. შეიძლება ითქვას, არც ერთი საომარი ოპერაცია არ მოითხოვს ჯარებისა და ზურგის მთელი ძალებისა და საშუალებების ისეთ დაძაბვას, სარდლობის ისეთ ხელოვნებასა და მებრძოლების სამხედრო ოსტატობას, როგორც გარღვევა.

თანამედროვე თავდაცვა სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს შემტევი ჯარებისათვის. ეს არის რთული სისტემა საინჟინრო ნაგებობათა, რომლებიც აშენებულია საფორტიფიკაციო მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. თავდაცვის სამსახურისათვის გამოყენებულია ფოლადის უაღრესად მტკიცე სახეობანი: ბეტონი, ქვა, ჰიდროტექნიკა, ელექტროტექნიკა. სიმაგრეთა მისადგომებს იფარავენ დანაღმული მინდვრები, მავთულოვანობრუნების წყებები, ტანკსაწინააღმდეგო ორმოები და ყოველგვარი დაბრკოლებანი. ყოველივე ამას რკალად ერტყმის და იცავს ქვემეხების, ნაღმსატყორცნების, ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ძლიერი ცეცხლი.

თხრილები, სანგრები, ხანგრძლივი საცეცხლე წერტილები, ძელშიწური საცეცხლე წერტილები, ციხეები სავსეა მოწინააღმდეგის ჯარებით. ყოველ წუთს მზად არიან მოეშველონ მათ მოძრავი რეზერვები სხვა უბნებიდან და სიღრმიდან. პირველი განგაშისთანავე ბრძოლაში ებმებიან ტანკები, თვითმავალი ქვემეხები, თვითმფრინავები. სიმაგრეთა პირველ ხაზს იქით არის მეორე, მესამე ხაზი, შემდეგ კი — თავდაცვის შუალედი ზღუდეები და ახალი ხაზები.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თავდაცვას მუდამ აგებენ ადგილმდებარეობის საამისოდ ხელსაყრელ პირობებში. თავდამცველი ცდილობს სავსებით გამოიყენოს რაიონის გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული განსაკუთრებული თვისებანი: მდინარეები, ტბები, მთები, მაღლობები და მთელი ის ბუნებრივი დაბრკოლებანი თავის სამსახურში ჩააყენოს. უნგრეთში ჩვენი შემტევი ჯარებისათვის ასეთი ბუნებრივი დაბრკოლება იყო დუნაი — ევროპის ერთერთი უდიდესი მდინარე.

და, მიუხედავად ამისა, წითელი არმიის ჯარებმა მრავალ შესანიშნავ ოპერაციაში გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ფრონტი იმ უბნებზე, რომლებიც ნაჩვენები იყო უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ. საბჭოთა ჯარები მუსრავდნენ მტრის თავდაცვას მოსკოვთან და სტალინგრადთან, კურსკის რკალზე და ლენინგრადთან. მიუსფორტზე, დნეპრზე, დნესტრზე, პრუტზე. ისინი ბრძოლავდნენ ხანგრძლივი თავდაცვის ძლავრ სარტყლებს ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, კარელიის ყელზე, კარპატებში.

ბრძოლების მსვლელობაში ჩვენს ჯარებს უხდებოდათ მოწინააღმდეგის თავდაცვითი სიმაგრეების სხვადასხვანაირ ტიპებთან შეხვედრა. შემტევი საბჭოთა დივიზიების წინ მდებარეობდა ავიაციისა და ტანკების ძლიერი ზეგავლენა, ბრძოლის ველზე ამოქმედებული ინჟინერიული ნაგებობანი, ბრძოლის ველზე ამოქმედებული ინჟინერიული ნაგებობანი, ბრძოლის ველზე ამოქმედებული ინჟინერიული ნაგებობანი, ბრძოლის ველზე ამოქმედებული ინჟინერიული ნაგებობანი, ბრძოლის ველზე ამოქმედებული ინჟინერიული ნაგებობანი, ბრძოლის ველზე ამოქმედებული ინჟინერიული ნაგებ

საბჭოთა კავშირის გმირი ვახტანგ ვლადიმერის-ძე ჩიქოვანი

ვახტანგ ჩიქოვანი დაიბადა 1919 წელს სამტრედიაში, ცხოვრობდა აბაშის რაიონში, სწავლობდა თბილისის რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლაში. 1938 წელს იგი შევიდა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, ვ. ჩიქოვანი მე-4 კურსზე იყო. 1941 წლის ოქტომბერში ჩიქოვანი მიდის წითელ არმიაში და ხდება ნ სამხედრო აკადემიის მსმენელი.

სპეციალური სამხედრო ცოდნის მიღების შემდეგ ვახტანგ ჩიქოვანი მიდის ლენინგრადის ფრონტზე, შემდეგ კი მონაწილეობს საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

ჩიქოვანი ხშირად მიდიოდა საბრძოლო დავალებებზე და სანიმუშოდ ასრულებდა მათ. იქვე, ფრონტზე, იგი შევიდა ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში.

— ფრონტელ მეგობრებთან ერთად ჩვენ ვითავისუფლებთ მშობლიურ მზიურ უკრაინას, — სწერს ჩიქოვანი. — ამ ბრძოლებში მე დამაჯილდოვეს სამამული ომის მე-2 ხარისხის ორდენით და მივიღე დიდი სტალინის მადლობა. მომავალ ბრძოლებში უფრო მაგრად დავარტყამ გერმანელ დამპყრობლებს.

ჩიქოვანმა შეასრულა თავისი სიტყვა. ამის შესახებ სწერენ და მოგვითხრობენ მისი ფრონტელი მეგობრები.

უდიდესი გმირობა გამოიჩინა ჩიქოვანმა ქალაქ ჩერკასისათვის ბრძოლებში. გერმანელებმა პიონერთა სასაზღვრო გამაგრდნენ და ძნელი გახდა მათი იქიდან განდევნა. ჩიქოვანი მეავტომატეთა ოცეულით ბნელი ღამის საფარქვეშ შეიჭრა სასახლის შუაგულში და გაანადგურა გერმანელები.

ჩვენმა ნაწილებმა გადალახეს დნეპრი და მიადგნენ სოფელ რუსკაია პოლიანას ქალაქ ჩერკასის რაიონში. გერმანელები გაიფთრებით იცავდნენ ამ სოფელს. დასავლეთ განაპირა უბანს. ნაწილის მეთაურმა გაგზავნა ჩიქოვანი ბრძოლის შემდინარეობის შესამოწმებლად. როდესაც იგი მივიდა უშუალოდ წინა კიდესთან, მან შეამჩნია, რომ გერმანელები სხდებიან მანქანებში და გაქცევას აპირებენ, ჩიქოვანი მიიჭრა ერთ-ერთ მანქანასთან, შეიპყრო იგი და მოიყვანა ნაწილის შტაბში ოფიციალურად და შოფერიანად.

ერთხელ ჩიქოვანი შტაბში ბრუნდებოდა ბრძანების შესრულების შესახებ მოსახსენებლად. ჯერ ორი კილომეტრიც არ ჰქონდა გამოვლილი, როდესაც შეამჩნია, რომ ერთ-ერთ სახლში იმალებოდნენ გერმანელები. ჩიქოვანი და მისი მეკავშირე მიუახლოდნენ სახლს. გერმანელებმა მათ სხვენიდან სროლა აუტეხეს. მაშინ ჩიქოვანმა გრანატი სტაყორცნა სხვენს. [illegible] ერთი გერმანელი იყო, მეორე უფრო ეგდო, ხოლო ორი ტყვედ წამოიყვანეს.

გულად და მამაც ოფიცერს ვახტანგ ჩიქოვანს იცნობდნენ და უყვარდათ დივიზიაში. არმიაში, ამ ძლიერ ფრონტულ მეგობრობაზე ლაპარაკობენ ჩიქოვანის მებრძოლი მეგობრების გულთბილი წერილები, ის ერთი მათგანი, რომელიც მიიღო ჩიქოვანის დამ.

„მე ძალიან ვწუხვარ, რომ უნდა შეგატყობინოთ ასეთი საშინელი ამბავი. დღეს გერმანელ არამზადათა წინააღმდეგ გაფთრებულ ბრძოლაში ყუმბარის ნამსხვრევით მძიმედ დაიჭრა თქვენი ძმა, ხოლო ჩვენი საუკეთესო მეგობარი ვახტანგი. ამავე დღეს ვახტანგი გარდაიცვალა, ფიცს გაძლევენ შური ვიძიოთ ჩვენ საუკეთესო მეგობრისათვის. მე ახლა ვარ ჩვენი ნაწილის დაზვერვის უფროსი, ჩემი მებრძოლები კარგად იცნობდნენ ჩვენს ვახტანგს, და ყველა მათგანმა ფიცი დასდო შური იძიოს ოქმისათვის. პატივისცემით სამი ანისიმოვი“.

ის კიდევ მეორე წერილის ამონაწერი:

„ბუშინ 12 საათზე და 30 წუთზე ჩვენ დავასაფლავეთ ჩვენი ძვირფასი ვახტანგი. ამავე დღეს ჩვენ შორს, დასავლეთისაკენ წავედით და თუმცა ვახტანგი აღარ არის, იგი მაინც შუადამ ჩემთან იქნება. თუ მოვკლავ გერმანელს, ეს ამას ნიშნავს, რომ ჩვენ ერთად მოვკალით იგი, თუ მოვკლავ ორ გერმანელს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ თითო-თითო მოვკალეთ ჩვენ მათ დავბოლოვთ ათობით და ასობით ჩვენ მათ ვეღლეთ, სანამ არ მოვესპობთ ფაშიზმს!“.

ვახტანგ ჩიქოვანი ერთ-ერთი იმათგანი იყო ვინც სახელი მოუხვეჭა თავის ნაწილს, ამტომ მისი სახელი ჩაწერილია ნაწილის ბრძოლთა წიგნში. მას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ს. რიჟინაშვილი

საქართველოს სსრ სოფლის ექიმთა პირველი ყრილობა

29 ნოემბერს თბილისში ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიხსნა საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის ექიმთა პირველი ყრილობა. ყრილობაზე რაიონებიდან და სოფლებიდან ჩამოვიდნენ სოფლის სამედიცინო ექიმები გამგეები, საშუალო სამედიცინო პერსონალი, რაიონული ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა გამგეები. ყრილობის პრეზიუმში პოინაწილეობას იღებენ საქართველოს თვალსაჩინო სამედიცინო მუშაკები — აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები და ექიმები.

ყრილობა გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარმა ამხ. ხელიძემ.

ყრილობის საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბუჯიაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჯაში, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილე სამედიცინო სამსახურის გენერალ-მაიორი ამხ. კუსნეცოვი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე ამხ. კვაჭაძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. ხელიძე, სახალხო კომისრის მოადგილეები ამხ. ბარკალაია, ფრანგულიანი და გურგენიშვილი, საქართველოს მეფსიანმრომის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე ამხ. კობალაძე, აქარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. შაბიკაშვილი, აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. პაპასკეკა, სამხრეთ-ოსეთის საოლქო ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. წერეთელი, თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. ჯაგარეი, სომხეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სამკურნალო განყოფილების გამგე ამხ. სარქისიანი, აკადემიკოსები მუხაძე და ნათიშვილი, პროფესორები ყიფიანი, ალადაშვილი, ყიფშიძე, ერისთავი, იოსელიანი, წულუკიძე, ურუშაძე, შუშანია და სხვ., სულ 33 კაცი.

ყრილობამ აირჩია ადგილობრივ სამედიცინო, სარეფერენდუმო კომისია და დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1. ლენინისმიერი საქართველოს სსრ სოფლის მხარეთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების დარგში. 2. სოფლის სანიტარული მდგომარეობის შესახებ. 3. ეპიდემიურ დაავადებებთან ბრძოლა სოფლად. გარდა ამისა, ყრილობაზე მოსმენილი იქნება 16 სამეცნიერო მოხსენება.

ყრილობის დელეგატებმა ხანგრძლივი და მეტუბარე ოვაციით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში ხალხთა ბელადი, ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორი დიდი სტალინი, ალბერეთ ამბანაგები ვ. მ. მოლოტოვი, მ. ი. კალინინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ა. ... მიკოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. პ. ბერია, ნ. მ. შვერნიკი, გ. მ. მალენკოვი, ა. ს. შჩერბაკოვი, ნ. ა. ვოზნესენსკი, კ. ნ. ჩარკვიანი, ვ. მ. ბაქრაძე.

მოხსენებით „ლენინისმიერნი საქართველოს სსრ სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების დარგში“ გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. ხელიძე

ამხ. ხელიძემ ილაპარაკა იმ უდიდეს მზრუნველობაზე, რასაც საბჭოთა სახელმწიფო იჩენს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის, ომით გამოწვეული სიძნელეების მიუხედავად, ყოველწლიურად იზრდება სოფლად სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებათა რიცხვი. ომის წლებში სოფლის საავადმყოფოებში საწოლთა რიცხვი გაიზარდა 11,5 პროცენტით, თუ 1941 წელს სოფლად მუშაობდა 614 ექიმი, ახლა მუშაობს 1.233 ექიმი სოფლის საექიმო უბანი წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ძირითად რგოლს, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სამკურნალო-პროფილაქტიკურ, ეპიდემიის საწინააღმდეგო და სანიტარულ ღონისძიებათა გატარებას სოფლად. ბევრ სოფლის საექიმო უბანთან გახსნილია ლაბორატორიები, შესაბამისად გაფართოდა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი. გარდა ამისა, სოფლად ქალიფიციური სამედიცინო დახმარების გასაძლიერებლად რაიონებში ხშირად მიდიან მაღალკვალიფიციური ექიმები, აკადემიკოსები, პროფესორები და სხვ. სოფლის ექიმი დახმარებას უწევს მოსახლეობას ამბულატორიაში, სტაციონარზე, ბინაზე, იგი მომსახურებას უწევს კოლმეურნეებს მინდვრად მუშაობის დროს, ზრუნავს ინვალიდებზე, წვეულ-მდელთა ჯანმრთელობაზე, დედებსა და ბავშვებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს სოფლის საექიმო უბნების მუშაობაში, კერძოდ, სანიტარული სტატისტიკის, მოსახლეობის სანიტარული განათლების და სხვ. დარგში.

— სამშობლო იცნობს და აფასებს სოფლის ექიმის. ამ თავდადებულ და უანგარო მუშაკის დამსახურებას — ამთავრებს თავის მოხსენებას ამხ. ხელიძე.—სოფლის ექიმს უყვარს თავისი საქმე, თავისი მეცნიერება. ომიანობის ვითარება მოითხოვს სოფლის მოსახლეობის სამედიცინო-სანიტარული მომსახურების განსაკუთრებულ ზუსტ, მოწესრიგებულ და კულტურულ ორგანიზაციას. ამაზეა დამოკიდებული ჩვენი ზურგის სანიტარული კეთილდღეობა.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ცხაკაიას რაიონის ნოქალაქევის საექიმო უბნის გამგემ ამხ. ქარდავამ, სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაშის საექიმო უბნის გამგემ ამხ. კორეიძემ და აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარმა ამხ. პაპასკეკამ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა უამბეს ყრილობას თავიანთ მუშაობაზე სოფლის საექიმო მომსახურების დარგში. ამხ. პაპასკეკამ მოიყვანა ციფრები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ აფხაზეთში სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების განუხრელ ზრდას.

სხდომის დასასრულს დელეგატებმა მქუხარე ტაშით მიიღეს უმაღლესი მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინისადმი მისასალმებელი დეპეშის ტექსტი.

ს. ავაკუმოვი

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის ლენინგრადის ინსტიტუტის დირექტორი

სახალხო ტრიბუნი

ათი წლის წინათ, 1934 წლის 1 დეკემბერს, ფაშიზმის სახიზარმა დაქირავებულმა აგენტმა ავაზაკურად მოჰკლა რუსი ხალხის დიდი შვილი, ლენინგრადის ბოლშევიკების ხელმძღვანელი, სერგეი მირონის-ძე კიროვი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ღრმა მუხარებით აუწყა პარტიას, მუშათა კლასსა და ყველა მშრომელს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ლენინგრადის კომიტეტის მდივნის, ბოლშევიკური პარტიის პოლიტბიუროს წევრის ს. მ. კიროვის დაღუპვა. „ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია,—ნათქვამი იყო მმართველობაში,— რომ ამხანაგ კიროვის ხსოვნა, პროლეტარული რევოლუციისათვის, სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობისათვის მისი უშიშარი დაუღალავი ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითი აღაფრთოვანებს მილიონობით პროლეტარს და ყველა მშრომელთ შემდგომ საბრძოლველად სოციალიზმის გამარჯვებისათვის, მუშათა კლასის ყველა მტერთა საბოლოოდ მოსპობისათვის“.

კიროვი უყვარდა მთელ პარტიას. იგი უყვარდა მთელ საბჭოთა ხალხს. მისი დაღუპვის ამბავმა ღრმად დამაშფოთა მთელი ჩვენი ქვეყანა. დაუსრულებელ ნაკადად მიდიოდნენ ლენინგრადის მშრომელნი კიროვის კუბოსთან, რათა გამოსთხოვებოდნენ საყვარელ ხელმძღვანელს, მეგობარს, მასწავლებელს. როცა კიროვის ცხედარი გადასვენებულ იქნა დედაქალაქში, ასეთ დაუსრულებელ ნაკადად გაიარა მის კუბოსთან მთელმა მოსკოვმა.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა კიროვის სახელი დაარქვეს ქალაქებსა და მოედნებს, ქუჩებსა და ქარხნებს, კოლმეურნეობებსა და კულტურის სახლებს, ხალხმა თქმულებანი და სიმღერები შეჰქმნა კიროვის შესახებ. პოეტებმა ქება შეასხეს მას თავიანთ ნაწარმოებებში. მოქანდაკეებმა და ფხატვრებმა უკვდავყვეს დიდი მოქალაქის სახე მარმარილოში და გრანიტით, ბრინჯაოში და ტილოზე. კომპოზიტორებმა სიმფონიები შექმნეს კიროვის შესახებ.

ლენინისა და სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი კიროვი იბრძოდა დიდი ბოლშევიკური პარტიის პირველ რიგებში. მან შესწირა მთელი თავისი ძალ-ღონე, ყოველი თავისი სიცოცხლე რევოლუციის საქმისათვის უანგარო სამსახურს, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადებულ ბრძოლას, ბოლშევიკების რკინის კომორტის საუკეთესო წარმომადგენელი, რომელმაც გადალახა არაერთგზელი მუშობის მთელი სიმძიმე, რომელმაც გამოიარა ბრძოლებიდან ბრძოლებამდე, ციცხლსა და საპყრობილეში, იგი იყო მასების დაუღალავი ორგანიზატორი, მგზნებარე პროპაგანდისტი და აგიტატორი. კიროვი გახდა ნამდვილი სახალხო ტრიბუნი. მას გამოსაკუთრებული გავლენა ჰქონდა მასებზე. იგი რაზმავდა ტომსკისა და კავკაზის მუშებს რევოლუციური გაფიცვებისა და დემონსტრაციებისათვის, შეიარაღებული აჯანყებისათვის. იგი პირადი მამაცობითა და გულადობით უჩვენებდა ხალხის საქმისათვის თავდადებული ბრძოლის მაგალითს.

შეუდრეკელი ბოლშევიკი, კიროვი შეურიგებელი იყო მუშათა მოძრაობის შიგნით მუშათა კლასის მტრებთან—მენშევიკებთან, ესერებთან, ანარქისტებთან და ბურჟუაზიული გავლენის სხვა გამტარებლებთან ბრძოლაში. ცარიზმის დამხობის შემდეგ სერგეი მირონის-ძე სათავეში ედგა კავკაზის მუშებსა და თერგის ოლქის მშრომელთ და იბრძოდა სოციალისტური რევოლუციის ლენინური გეზის განხორციელებისათვის. ყოველი მისი გამოსვლა გამსჭვალული იყო ახალი, თავისუფალი რუსეთის გამარჯვების უღრმესი რწმენით. მარქსიზმ-ლენინური თეორიით შეიარაღებული კიროვი შესანიშნავად ერკვეოდა მრავალგვარი ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ვითარებაში, ეროვნულ და შეუპოვრად ეწეოდა ბრძოლას კონტრრევოლუციური ნაციონალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელების მიერ პეტროგრადში საბჭოების მეორე სრულიად რუსეთის ყრილობაზე გაგზავნილმა კიროვმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის რევოლუციაში, საბჭოთა ხელისუფლების შექმნაში. იგი გამოვიდა კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების მგზნებარე მქადაგებლად, თავდადებულ მებრძოლად და ორგანიზატორად.

როცა გერმანელ დამპყრობთა ურდოები რუსეთის ფარგლებში შემოიჭრნენ მისი დამონების მიზნით, მგზნებარე პატრიოტი კიროვი მრისხანედ ამხილებდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების წინაშე გერმანული იმპერიალიზმის ერაგულ მისწრაფებებს, კიროვი აშკარავებდა გერმანელ დამპყრობთა ავაზაკურ ზრახვებს და განუმარტავდა მთელ მოსახლეობას საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ერთიანობის მნიშვნელობას, რაზმავდა მშრომელთა მასებს სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. მთელი ბრძოლა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების შექმნისა და განმტკიცებისათვის განუყოფლად დაკავშირებულია ამხანაგ კიროვის სახელთან.

როცა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სერგეი მირონის-ძე ასტრახანის დაცვის სათავეში დააყენეს, მან მშრომელთა მასები დარაზმა თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა-თვის გმირული წინააღმდეგობის გასაწევად. იგი მკაცრად და მომთხოვნელად ნერგავდა რევოლუციურ დისციპლინას, განამტკიცებდა წითელი არმიის ნაწილების ბრძოლისუნარიანობას, რკინის ხელით ახშობდა კონტრრევოლუციურ ამბოხებებს ქალაქში. ასტრახანის გმირული დაცვის ხელმძღვანელის პოსტზე მთელი თავისი მუშაობით კიროვი საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალ ნიმუშს გვიჩვენებდა. როცა მოღალატე ტროცკემ ბრძანება გასცა ასტრახანის ევაკუაციის შესახებ, კიროვმა გულისწყრომით გააპროტესტა ეს ბრძანება ლენინის წინაშე და თავდადებით ახორციელებდა ბელადის დირექტივას—„ასტრახანი ბოლომდე დაიცავით!“ დიდი საბჭოთა პატრიოტი კიროვი მამაცურად აცხადებს, რომ „სანამ ასტრახანის მხარეში თუნდაც ერთი კომუნისტი მოიპოვება, მდინარე ვოლგის შესართავი საბჭოთა იყო, არის და იქნება!“.

იმავე ენერგიითა და აღფრთოვანებით, რომელებიც კიროვს ახასიათებდა სამოქალაქო ომის პერიოდში, მუშაობდა იგი სახალხო მეურნეობის აღდგენაზეც, კულტურის საკითხებზეც. ოთხწელიწად ნახევარს კიროვი აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე იყო; ამ ხნის განმავლობაში მან უდიდესი მუშაობა გასწია ნავთის მრეწველობის აღსადგენად, მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ნამდვილი რევოლუცია ნავთის ამოღების ტექნიკაში, შეიქმნა ახალი ნავთსარეწები, რეკონსტრუირებულ იქნა ძველი ნავთსარეწები.

ბაქოს ნუმთის საყაზრელმა ხელმძღვანელმა კიროვმა მშრომელთა საკეთილდღეობისათვის, ნაციონალური კულტურის განვითარებისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის თავისი დაუღალავი ზრუნვით მთელი აზერბაიჯანის მშრომელთა სიყვარული მოიხვეჭა. ლენინისა და სტალინის დიდი მოწაფე და თანამებრძოლი კიროვი შეურიგებლად იცავდა ბოლშევიკური პარტიის რიგების ერთიანობას, იბრძოდა კავკასიაში ყველა ანტიპარტიული დაჯგუფების წინააღმდეგ და უწინარეს ყოვლისა ტროცკიზმის წინააღმდეგ. იგი თანმიმდევრულად ატარებდა ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას ამიერ-კავკასიაში და ებრძოდა ყველა ჯურის ნაციონალ-უკლონისტებს.

პარტიისათვის მშვენიერ მომენტში, როცა პარტიის მტრები, ზინოვიეველები, ცდილობდნენ პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ ებრძოლებინათ ლენინგრადის პარტიული ორგანიზაცია, კიროვი ამხანაგების ჯგუფთან—საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატებთან ერთად გაგზავნილ იქნა ლენინგრადში, იგი განუმარტავდა ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციის წევრებს იმ პოზიციის დანაშაულებრივ ანტიბოლშევიკურ ხასიათს, რომელიც XIV პარტყრილობაზე დიოკავა ლენ-ზინოვიევის დელეგაციამ, მოტყუების გზით რომ მიიღო თავისი მანდატები ყრილობაზე. როცა სერგეი მირონის-ძე ლენინგრადიდ ბოლშევიკების ხელმძღვანელის პოსტზე იქნა დაყენებული, მან მოკლე ხანში მიაღწია ზინოვიეველთა ოპოზიციის სრულ იზოლაციას და ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციის რიგების ერთიანობის განმტკიცებაა, ლენინგრადის ბოლშევიკთა კრებებზე თავის გამოსვლებში კიროვი ამხილებდა ზინოვიეველთა თვალთმაქცობას, მათს დანაშაულებრივ ანტიპარტიულ საქმიანობას, მათს მენშევიკურ ბუნებას, იმის რწმენის უქონლობას, რომ შეაძლებელია სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში, კიროვი უდიდესი აღფრთოვანებით განუმარტავდა მასებს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინურ-სტალინურ გეგმას, სოციალიზმის აშენებისათვის, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის მის მნიშვნელობას.

როცა პარტიის მიერ დამარცხებულ ანტილენინურ დაჯგუფებათა ყველა ნაშთები ანტიპარტიულ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ბლოკში გაერთიანდნენ და გამთიშველ პოლიტიკას ეწეოდნენ, რათა ძირი გამოეთხარათ ბოლშევიკური პარტიის ერთიანობისათვის, კიროვმა ლენინგრადის ორგანიზაცია დარაზმა ტროცკისტ-ზინოვიეველ გამცემთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისათვის.

სერგეი მირონის-ძემ მთელი თავისი ძალღონე, მთელი თავისი დაუშრეტელი ენერგია მოახმარა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელების საქმეს, იგი დაუღალავად განემარჯვა ლენინგრადის მუშებს იმ ეტიდეს როლს, რომლის შესასრულებლადაც მოწოდებული იყო ლენინგრადის მრეწველობა ჩვენი, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. კიროვი ლენინგრადის მუშებს აღაფრთოვანებდა დიადი საქმეებისათვის სოციალიზმის გასამარკვევლად.

ს. მ. კიროვის ხელმძღვანელობით უახლესი ტექნიკის საფუძველზე მოკლე ხანში გარდაიქმნა ძველი ქარხნები, შეიქმნა ახალი საამქროები, შენდებოდა ლენინგრადის ინდუსტრიის ახალი გიგანტები. ზედიზედ დგებოდა მწყობრში ელექტროსადგურები. მისი ხელმძღვანელობით ლენინგრადში შექმნილია მრეწველობის მრავალი ახალი დარგი: ტრაქტორის, მძლავრი ორთქლისა და ჰიდრო ტურბინის, ჰიდროგენერატორის, დიზელის, ელექტროსაზომი ხელსაწყოს, ავტომატური ტელეფონისა და სატრანსლაციო დანადგართა წარმოება, მოგვარებულია ალუმინის, სინთეზური კაუჩუკის, ხელოვნური ბოჭკოს წარმოება, ზამძლავრი ავიაციის წარმოება, ბლუმინგთა მშენებლობა და მრავალი სხვა.

კიროვი ყოველდღიურად ხელმძღვანელობდა გრანდიოზულ საალმშენებლო მუშაობას, აქტუალური საწარმოო ამოცანების გადაწყვეტაში ამამდა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები. იგი განუწყვეტლივ ზრუნავდა მუშათა საწარმოო ზრდისათვის, თვალყურს ადევნებდა უმაღლეს სასწავლებელთა და ტექნიკუმთა მუშაობას, მან ლენინგრადი კადრებით სამზედ-ლოდ გადააქცია. მაგნიტოგორსკსა და კუზბასში, ურალსა და შორეულ აღმოსავლეთში ლენინგრადიდან ჩადიოდნენ ცოდნითა და გამოცდილებით, სახელოვანი ლენინგრადელი ტარადიციებით და კიროვისეული შესანიშნავი ენერგიით აღჭურვილი ადამიანები.

კიროვი დაეუნებით განმარტავდა ინდუსტრიალიზაციის უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების გადიდების საქმეში. ამჟამად, სამამულო ომის დღეებში, საბჭოთა ხალხისათვის განსაკუთრებით გასაგებია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამშობლოსათვის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას, რამაც უზრუნველყო სსრ კავშირის გადაქცევა მძლავრ სიმაგრად, რომელზეც დაიმსხვრა მტრების ყველა ზრახვები.

კიროვის ხელმძღვანელობით არამარტო წარმატებით განხორციელდა ლენინგრადის ოლქის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, არამედ უდიდესი დახმარებაც გაიწია ჩვენს ქვეყანას კოლექტივიზაციის საქმეში. ლენინგრადმა მისცა სამშობლოს ტრაქტორები, მან გაგზავნა სოფლად საკოლმეურნეო წყობილების ათასობით ორგანიზატორი.

ლენინგრადის ბოლშევიკების ხელმძღვანელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საერთოდ საბჭოთა კავშირის და კერძოდ ლენინგრადის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას, მოაგონებდა რა ლენინგრადელებს ჩვენს სამშობლოზე იმპერიალისტი აგრესორების თავდასხმის მუდმივ საფრთხეს, კიროვი ხაზგასმით აღნიშნავდა ლენინგრადის, როგორც სოციალიზმის ქვეყნის ფორპოსტის განსაკუთრებულ ადგილს და ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა თავდაცვის საკითხებისადმი. კიროვი სულ უფრო ხშირად აღნიშნავდა გარეგან თავდასხმის საფრთხეს იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიაში ხელისუფლებას საბოლოოდ ჩაუდგა ჰიტლერელთა ხროვა. კიროვი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ გერმანელი ფაშისტები განსაკუთრებულ იჩენენ საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმის მომზადებაში.

„ავანტიურისტები, — ამბობს იგი,—რომლებიც სულ უფრო და უფრო კარგავენ გონებას, გატაცებული ირიან გიჟური გეგმებით, იდეებით, რომლებიც შეეფერებოთ საგიჟეთში მყოფ ადამიანებს. მაგრამ ამან კიდევ უფრო ფხიზლად უნდა გვამყოფოს, კიდევ უფრო უნდა გავგმრკიცებინოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვა და სამხედრო ძლიერება. ჩვენ მშვიდობიანობის პოლიტიკას ვეწევით და არაკის მივცემთ იმის ნებას, რომ აბუჩად აიგდოს მშრომელთა დიადი ქვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სტალინის მოხსენება და ბრძანება ჩვენი გამარჯვების პროგრამაა

პარტიული კრება თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში

დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში მიმდინარეობს ღია პარტიული კრებები, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოხსენებიდან და ბრძანებიდან გამომდინარე ამოცანების განხილვისადმი. საწარმოთა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები გულდასმით იხილავენ ამ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებს და სახავენ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს ბელადის მიერ დასმულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის.

ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტიულმა ბიურომ გაზეთ „კომუნისტის" რედაქციასთან ერთად 26 ნოემბერს ჩაატარა ღია პარტიული კრება, რომელზეც განხილულ იქნა ბელადის მოხსენებიდან და ბრძანებიდან გამომდინარე ამოცანები. მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა წამოაყენეს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ქარხნის წინაშე დასმულ სამეურნეო ამოცანათა წარმატებით განხორციელებას.

ჩვენ ქვემოთ ვაქვეყნებთ 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ღია კრების ანგარიშს.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტიული ორგანიზაციის კრება, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის 1944 წლის 6 ნოემბრის მოხსენებიდან და 7 ნოემბრის ბრძანებიდან გამომდინარე ამოცანათა განხილვისადმი. სურათზე: სხდომის დარბაზი (მარცხნივ) და ტრიბუნაზე სტახანოველი მჭედელი ამხ. ვ. კორძაძე.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ამხანაგ სტალინის მოხსენება და ბრძანება და ჩვენი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები

(პარტიული გიუროს მდივნის ამხ. ს. დარასაველიძის მოხსენება)

ჩვენმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის თავდადებულ შრომას ფრონტის დასახმარებლად. ეს მაღალი შეფასება მიეკუთვნება ჩვენი ქარხნის კოლექტივსაც, რომელიც ომის დღეებში მეომრის თავდადებით მუშაობს და მთელს ენერგიას ახმარს პირსიასლიან ფაშიზმზე საბოლოო გამარჯვების საქმეს.

ომის პერიოდში ჩვენმა ქარხანამ აითვისა მთელი რიგი ახალი დიდმნიშვნელოვანი პროდუქციის წარმოება. მუშახელის, ოსტატებისა და სპეციალისტების ნაკლები რაოდენობით ქარხანა წლითიწლობით სულ უფრო მეტ და უკეთეს პროდუქციას უშვებს. ომის პირველ წელს მან ფრონტსა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 245,000 მანეთის პროდუქცია. დიდი გადაჭარბებით შეასრულა ქარხანამ 1942 და 1943 წლის საწარმოო დავალებები. მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში დამზადებულია 286 ათასი მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეტებით.

ჩვენი საწარმოო მიღწევების უშრეტ წყაროს წარმოადგენს უანგარო ენაყვარული სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი, ვინ არ იცნობს ორდენოსან ხარატს კადრის მუშას ამხ. ვ. ზაკომოლდინს, რომელიც ომის დღეებში კიდევ უფრო მეტი ენერგიით მუშაობს და ნიადაგ სამ-ოთხ წორმას იძლევა. ომმა მაღალნაყოფიერი შრომის ახალი შესანიშნავი ოსტატები გამოავლინა, კომუნისტი მჭედელი ამხ. კორძაძე სისტემატიურად 700-800 პროცენტი ასრულებს დავალებას. ასევე მეომრის თავდადებით მუშაობენ სტახანოველები მირზოევი, ჰოხონელიძე, ხანდოლიშვილი, აკოფოვი, ტოკაშვილი და მრავალი სხვა. ქარხნის მუშათა კოლექტივის ნახევარი სტახანოველია.

შესანიშნავად მუშაობენ ჩვენი ქარხნის მუშა ქალები, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა, მათ თავიანთ მხრებზე გადაიკიდეს წარმოებაში შრომის ძირითადი სიმძიმე, ქარხნის კოლექტივის განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივით სარგებლობენ ატახანოველი ქალები ამხ. სარქისოვა, ნ. ალაკიძე, მ. ბუდაგიანი, ჩიტაიშვილი და სხვ. ძველ, კადრის მუშებს არ ჩამოუვარდებიან ახალგაზრდა მუშები ამხ. მახარაშვილი, გოგიძე, თვაური, ირუთინოვი, პავკოვი და სხვ.

ქარხნის მუშა-მოსამსახურენი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისადმი. პოლიტშრეებში და დამოუკიდებლად ქარხნის 200 მოწინავე ადამიანმა დაამთავრა პარტიის ისტორიისა და ამხანაგ სტალინის წიგნის — „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" — შესწავლა, ამჟამად ქარხნის მთელი კოლექტივი სწავლობს ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოხსენებასა და ბრძანებას. პოლიტშრეებში მიმდინარეობს მეცადინეობა, აქტივი დამოუკიდებლად სწავლობს ამ ისტორიულ დოკუმენტს. 20 აგიტატორი ყოველდღე ატარებს საუბრებს საამქროებსა და ბრიგადებში და რაზმავა მუშებს ბელადის მოხსენებისა და ბრძანების პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლოვანებები, ეს ნაკლოვანებანი მთელი სისრულით იქნა გამოვლინებული ღია პარტიული კრებისათვის მზადების პერიოდში.

რა ნაკლოვანებებია ეს?

მოუწესრიგებელია ქარხანისშიდა ტრანსპორტი, დაბალია შრომის დისციპლინა, კარგად ვერ არის მოწყობილი მუშათა ტექნიკური სწავლება, ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ საადილოს მუშაობის გაუმჯობესებას, ზოგიერთი საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი ღრმად არ სწვდება საწარმოო საკითხებს და ნაკლებ გავლენას ახდენს დავალებათა შესრულებაზე.

დღეანდელი კრების ამოცანა ის არის, რომ გულდასმით განვიხილოთ ჩვენი მიღწევები და ნაკლოვანებანი, დავსახოთ ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და, ამრიგად, საქმით ვუპასუხოთ დიდი სტალინის მოხსენებასა და ბრძანებას.

რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ ამხანაგ სტალინის მოხსენებასა და ბრძანებასთან დაკავშირებით?

საჭიროა ახალი ძალით გავაჩაღოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რათა ვამრავლოთ ჩვენი საწარმოო მიღწევები, რათა ქარხანა გადაუწყვეტელ ნაკადად უშვებდეს მაღალხარისხოვან პროდუქციას გეგმის გადამეტებით.

ჩვენი წვლილი უნდა შეეტანოთ იმ გრანდიოზულ აღდგენითს სამუშაოებში, რომლებსაც აწარმოებენ საბჭოთა პატრიოტები გერმანელ დამპყრობლებან განთავისუფლებულ რაიონებში, დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულოთ განთავისუფლებული რაიონების საწარმოთა დაკვეთები.

საჭიროა გავაძლიეროთ თავდაცვითი მუშაობა, რომ კვლავაც შეგვეძლოს მივცეთ წითელ არმიას ყოველმხრივ მომზადებული შევსება.

უნდა გავაძლიეროთ პარტიული პროპაგანდა და აგიტაცია, ღრმად შევისწავლოთ დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენება და ბრძანება. საჭიროა ჩავატაროთ ციკლი მოხსენებებისა და ლექციებისა ამ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტებიდან გამომდინარე საკითხებზე.

ჩვენი მუშაობა ყოველ დარგში ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ, ამას გვავალებს ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოხსენება და ბრძანება. ამას გვავალებს ჩვენი სამშობლოს საბოლოო გამარჯვების ინტერესები.

თავდაცვითი ორგანიზაციების ამოცანა

(ამხ. ა. ასამბაძე)

ამამულო ომის დღეებში კარგად მუშაობენ ჩვენი ქარხნის თავდაცვა-ავიაქიმია, ფიზკულტურია და წითელი ჯვრის ორგანიზაციები. საპაერო და ქიმიური თავდაცვის საქმე შეიისწავლა 1.286 კაცმა, მომზადებულია თავდაცვა-ავიაქიმის 62 ინსტრუქტორი, 46 მეავტომატე, 152 ნიშნოსანი „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის", 27 სამედიცინო და, აგრეთვე თავდაცვითი საქმის ათობით სხვა ოსტატი.

ჩვენი მუშები, რომლებმაც სათანადო საშუალებანი მიიღეს ქარხნის თავდაცვის ორგანიზაციებში, ახლა გმირულად იბრძვიან სამამულო ომის ფრონტებზე და მუსრავენ ფაშისტ მტარვალებს. სიამაყით წარმოვსთქვამთ ჩვენი სასახელო აღზრდილების სახელებს. ესენი არიან საბჭოთა კავშირის გმირი კ. გავრილოვი, ორგზის ორდენოსანი ოფიცერი ი. კოტალაშვილი, ორდენოსანი გ. ბეგთაშვილი და მრავალი სხვა.

ამხანაგ სტალინის მოხსენებასა და ბრძანებაში დასმულია ისტორიული ამოცანა — საბოლოოდ მოვსპოთ ფაშისტი მხეცი. ეს ამოცანა მოითხოვს აგრეთვე თავდაცვითი მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებას. ქარხნის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

ინტერნაციონალური მუშაობა ქარხანაში

(ამხ. თ. დემეტრაძე)

ომის დღეებში ჩვენი ქარხნიდან სამშობლოს დასაცავად ფრონტზე წავიდა ბევრი კვალიფიციური მუშა. სამაგიეროდ მოვიდა ახალი კადრი, მათ შორის იყვნენ ქართველები, რუსები, სომხები, ებრაელები და სხვა ერთა წარმომადგენლები, ისინი გულთბილად მიიღო ჩვენმა ქარხანამ და მზრუნველობით შეასწავლა საწარმოო სპეციალობა. ამ ახალი კადრებიდან მეორის თავდადებით მუშაობენ ხარატები მახარაშვილი, სერგინეკი, ირუთინოვი, ზეიბეკლები პავკოვი, თვაური და ჩამომსხმელი ისოევი. შრომაში მათი უმრეტი ენერგიისა და წარმატების წყაროა ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი.

საჭიროდ მიმაჩნია ჩვენი პარტიული კრების გადაწყვეტილებაში თავისი გამოხატულება ჰპოვოს ინტერნაციონალური მუშაობის კიდეკ უფრო ფართოდ გაშლისაკენ მიმართულმა ღონისძიებებმა.

ჩვენს ქარხანაში კადრების დიდ ემრავლეობას საბჭოთა ქალაქები და ქალები შეადგენენ. ეს იმ საბჭოთა ქალებისა და ახალგაზრდებისაც თავიანთ მხრებზე გადაიქვეს საწარმოებში მუშაობის ძირითადი სიმძიმე. ახალგაზრდა მეარველი ქალი ნუნუ ალავიძე უკვე ორასოვანი გახდა. მეყალიბე მარო ბუდაგიანი 2,5-3 ნორმას იძლევა. ხარატი გოგოძე სისტემატიურად 210-220 პროცენტით ასრულებს დავალებას. ფალალი სტალინური შეფასება ახალგაზრდებისა და მუშა ქალებს ავალებს უფრო მეტი მონდომებით იმუშაონ და უკეთ დაეუფლონ პროფესიას.

დასმარება განთავისუფლებული რაიონების საწარმოებს

(ამხ. ბ. გრიგორიევი)

ჩვენი კრება იხილავს დიდი სტალინის მოხსენებიდან და ბრძანებიდან გამომდინარე ამოცანებს, ერთ-ერთი ამ ამოცანათაგანი იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროთ განთავისუფლებულ რაიონებს მრეწველობის აღდგენაში.

სამხრეთის მეტალურგიული ქარხნებისა და დონბასის ქვანახშირის საწარმოებისათვის საჭიროა დიდძალი ტრანსპორტიორები და რეღუქტორები, რომლებსაც ჩვენი ქარხანა ამზადებს, წელს ხარკოვის, ნალჩიკის, კრივოი როგის, კრასნოგრადისა და უკრაინის მთელი რიგი სხვა ქალაქების საწარმოებს უკვე გაეგზავნათ 902.920 მანეთის პროდუქცია. მათ გაეგზავნათ აგრეთვე 2 სახარატო და 1 სარანდავი დაზგა და 270 სხვადასხვა ხელსაწყო.

ამჟამად ჩვენი ქარხანა მუშაობს ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის, ზაპოროჟიეს ალუმინის ქარხნის, სტალინოს ღინასის ქარხნისა და ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის შეკვეთებზე. ჩვენი სტახანოველები ენტუზიაზმით მუშაობენ ამ შეკვეთებზე. საჭიროა მათ გავუწიოთ ყოველმხრივი დახმარება ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში — ვადამდე და მაღალხარისხოვნად შეასრულონ მომმე უკრაინის საწარმოთა დაკვეთები.

ღონისძიებანი

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციის ღია კრებამ განიხილა ამხანაგ სტალინის მოხსენებიდან და ბრძანებიდან გამომდინარე ამოცანები და დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი.

პარტიულმა კრებამ პარტორგანიზაციას მიზნად დაუსახა მიიღოს ყველა საჭირო ზომა და მიაღწიოს წლიური გეგმის შესრულებას სტალინური კონსტიტუციის დღისათვის.

საწარმოო პროცესების შემდგომი მექანიზაციისა და ქარხნისშიდა ტრანსპორტის გაუმჯობესების მიზნით კრებამ დაავალა პარტორგანიზაციას მიაღწიოს ამწევი მოწყობილობის დადგმას მექანიკურ, საამწყობო და სამჭედლო საამქროებში და ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანას საამქროს შორის.

დამყარებულ უნდა იქნას მტკიცე კავშირი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და იმ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებთან, რომლებიც მანქანათმშენებლობის დარგში მუშაობენ, წლის ბოლომდე განხორციელებულ იქნას ყველა რაციონალიზატორული წინადადება, დაკომპლექტებულ იქნას სპეციალისტებით ქარხნის ტექნიკური განყოფილება, რათა საამქროები შეკვეთასთან ერთად ღებულობდნენ ყოველი დეტალის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესს, ტექნიკურ გაანგარიშებას, საჭირო ნახაზებს, ამასთან მომზადებულ იქნან ყველა პროფესიის ოსტატთა დუბლიორები.

წარმოებაში ქალთა შრომისა და ახალგაზრდობის უკეთ გამოყენებისათვის გადაწყდა მიეწყოს ახალგაზრდა კადრების როგორც წრეობრივი, ისე ინდივიდუალური ტექნიკური სწავლება, რისთვისაც საამქროებში მომუშავე ყოველ კომუნისტ ოსტატს დაევალა ორი თვის ვადაში პროფესია შეასწავლოს 5 ახალგაზრდა ძმასა. ამასთან მომავალ ტექნიკურ წრეებში მსმენელების გამოშვება მომავალი წლის 1 იანვრისათვის უნდა მოხდეს.

გადაწყდა წლის ბოლომდე მტს-ებისათვის გეგმის გადამეტებით დაამზადონ 500 სატრაქტორო ნაწილი, დაეხმარონ საშეფო წითელწყაროს მტს-ს ტრაქტორების რემონტში.

თავდაცვითი მუშაობის დარგში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებანი: მომზადებულ იქნება 45 სნაიპერი, 20 ხელჩართული ბრძოლის ოსტატი, 12 ნიშნოსანი „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის". ამას გარდა ჩამოყალიბდება მეტყვეიმფრენელეგენთა და მეფეტომატეთა ორი რაზმი. წელს ჩატარდება გაასამხედროებელთა გადასვლა 20 ათასმეტრზე, აგრეთვე გამართება შეჯიბრება ჭიდაობაში და გრანატის ტყორცნაში ქარხნის პირველობაზე.

გაცხოველდება მხატვრული თვითმოქმედების წრეების მუშაობა. წელს დაამბარე მეურნეობისათვის ქარხანა დაამუშავებს 5 ჰექტარით მეტ მიწის ფართობს. გაძლიერდება საზოგადოებრივი კონტროლი სასადილოს მუშაობაზედმა.

პარტიულმა კრებამ დასახა ღონისძიებანი პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში. გათვალისწინებულია მოეწყოს მოხსენებებისა და ლექციების ციკლი. ამ მიზნით შერჩეულია შემდეგი თემები: 1. გერმანია ორი ფრონტის მარწუხში, 2. საბჭოთა ხალხის დიდი შრომითი გმირობა სამამულო ომში, 3. წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებანი, 4. ეკონომიური გამარჯვება მტერზე, 5. ჰიტლერელთა მორალურ-პოლიტიკური დამარცხება, 6. ხალხთა სტალინური მეგობრობის იდეოლოგიამ სრული გამარჯვება მოიპოვა ჰიტლერელთა რასობრივი სიძულვილის იდეოლოგიაზე, 7. ჰიტლერული გერმანიის საბოლოო დამარცხება გარდუვალია, 8. გერმანიის საწინააღმდეგო კოალიციის საერთო საქმე გამარჯვება, 9. გაერთიანებული ერების კავშირის საფუძვლად უდევს საიაკოცხლო მნიშვნელობისა და ხანგრძლივი ინტერესები, 10. სსრ კავშირი მტკიცე მშვიდობიანობისა და საიმედო უშიშროების უზრუნველსაყოფად იბრძვის.



ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის ბარატი კოუნისტი ამხ. დ. ხანდოლი. შვილი, რომელიც სისტემატურად 8 ნორმას იძლევა.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი თავდადებით მუშაობს და სისტემატურად გეგმის გადაჭარბებით იძლევა პროდუქციას.

(ქარხნის დირექტორი ამხ. ა. მელაძე)

ჩვენი ქარხნის კოლექტივი თავდადებით მუშაობს და სისტემატურად გეგმის გადაჭარბებით იძლევა პროდუქციას. მაგრამ ეს მიღწევები გაცილებით მეტი იქნება, თუ ძირშივე აღმოვფხვრით ჩვენს მუშაობაში დღემდე არსებულ ნაკლოვანებებს.

რა არის ამისათვის საჭირო?

ქარხანაში მოუწესრიგებელია შიდა ტრანსპორტი. ამის გამო მრკოლდება საამქროს მიერ დამზადებული მასალისა და ნედლეულის მორიგ საამქროში გადატანა შემდგომი დამუშავებისათვის. ეს იწვევს საწარმოო უბნებში მასალისა და ნედლეულის ხელოვნურ ნაკლებობას; ცდება მუშახელი, ცდებიან დანადგარები. მაშასადამე, საჭიროა მოვაწესრიგოთ ქარხნისშიდა ტრანსპორტი, საამქროებს შორის გავიყვანოთ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, ამ საქმეში დახმარებას ეუწყვლად გაგიწევენ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

მეორე ხელისშემშლელი მიზეზი ის არის, რომ მექანიკურ, სამჭედლო, საამწყობო საამქროებში დიდძალი დრო იხარჯება და მუშახელი ცდება მძიმე წონის ლითონების დასამუშავებლად აწევა-გადატანაზე, ამიტომ საჭიროა ამ საამუშაოების მექანიზაცია. აღნიშნულ საამქროებში უნდა დაიდგას ამწევი მოწყობილობა, რაც დაიჩქარებს საწარმოო პროცესს და ‘ხელად გამოსაყენებლად გათავისუფლებს მუშახელს.

შემდეგ. ქარხნის საამქროები ერთნაირად არ არიან დატვირთულნი. მაგალითად, მექანიკური, სამსხმელო და სამჭედლო საამქროები გადატვირთულია, მაშინ, როცა თითქმის ყოველდღე რამდენიმე საათი უქმად დგას ათობით მუშა საამწყობო, სამოდელო და ეფსპერიმენტალურ საამქროებში. ამიტომ საჭიროა გადანაწილდეს ქარხნის შეკვეთები, შეიცვალოს ზოგიერთი მათგანი და მიღებულ იქნას ისეთი შეკვეთები, რომელთა წარმოება შეიძლება მოეწყოს ქარხნის ნაკლებად დატვირთულ საამქროებში.

ჩვენს დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ქარხნის ტექნიკური განყოფილების სუსტი მუშაობა. საერთო წესის თანახმად, განყოფილება უნდა ამუშავებდეს ქარხნის მიერ მიღებული შეკვეთის ტექნოლოგიურ პროცესს და აძლევდეს საამქროს დეტალის ტექნიკურ გაანგარიშებას, ნახაზს, ნიხრს. ტექნიკური განყოფილება ვერ ასრულებს ამ ფუნქციებს და ხდება პირიქით: თვით საამქროში ცალკეული ოსტატი საკუთარი შეხედულებით იმუშავებს დეტალების წარმოების ტექნოლოგიას, რაც ყოველთვის სწორი არ ყოფილა. მაშასადამე, ტექნოლოგიური განყოფილება უნდა დაკომპლექტებულ იქნას მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომელთაც შესწევთ უნარი იყვნენ ქარხანაში მოწინავე ტექნიკური აზრის ავტორები.

ყოველივე ეს უნდა გავაკეთოთ, გავაკეთოთ ბოლშევიკური სიმკაცითა, რომ კვლავაც ვიდგეთ მოწინავეთა რიგებში და საქმით ვუპასუხოთ მაღალ სტალინურ შეფასებას.

დავამყაროთ მჯკიცე კავშირი მეცნიერებათა აკადემიასთან

(ამხ. შ. მარსელიაშვილი)

ჩვენ, სპეციალისტებს უდიდესი სიამაყის გრძნობით გვავსებს ის მაღალი შეფასება, რომელიც მისცა ბელადმა საბჭოთა ინტელიგენციას, ტექნიკისა და კულტურის ნოვატორებს.

ქარხნის ინტელიგენციის გარკვეული ღვაწლი მიუძღვის ჩვენი კოლექტივის საწარმოო წარმატებებში. მან გამოიმუშავა და წარმოებაში დანერგა მთელი რიგი ახალი დიდმნიშვნელოვანი პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი. ამ ბოლო ხანებში ქარხანამ აითვისა რედუქტორები, ფირფიტა და თეფშისებრი მკვეთებები. ჩვენმა სპეციალისტებმა დაამუშავეს ცალინას ზერელე გამოწრთობის ახალი ხერხი, რომელმაც საუცხოო შედეგები მოგვცა. ამ დარგში გავუსწაროთ ბევრი ქალაქის მანქანათმშენებელ ქარხნებს. ამჟამად კონსტრუქტორთა განყოფილებამ შეიმუშავა ახალი სახის სამ, ხუთ და ათძალოვანი რედუქტორების წარმოება და ასათვისებლად გადაეცა ეფსპერიმენტალურ საამქროს.

რა უნდა გავაკეთოთ ბელადის მოხსენების პასუხად?

კვლავ გაბედულად უნდა ვიაროთ ნოვატორობის გზით ტექნიკის დარგში და შემოქმედებითად გამოვიყენოთ მეცნიერების მიღწევები ჩვენი წარმოების უკეთ მოწყობისათვის, ქარხანაში არის მთელი რიგი ისეთი შეკვეთები, რომელთა წარმოება ტექნოლოგიური პროცესის დამუშავება სერიოზულ სიძნელეებს ხვდება. ეს დაბრკოლებანი რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა მტკიცე კავშირი ვიქონიოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის იმ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებთან, რომლებიც მანქანათმშენებლობის სპეციალურ საკითხებზე მუშაობენ.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხები

(ამხ. ს. მალხასიანი)

ქარხნის ახალგაზრდა მუშების სწავლებისა და აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საამქროების საწარმოო თათბირებმა, რომლებსაც ყოველთვე რეგულარულად ვიწვევდით, ამ თათბირებზე ახალგაზრდა მუშები უფრო საფუძვლიანად ეცნობოდნენ საქარხნო ცხოვრებას, სწავლობდნენ მუშაობაში ნაკლოვანებათა აღკვეთის საშუალებებს.

საწარმოო წარმატებათა მოპოვების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს დადებითი გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, მის დანერგვას. ამ მხრივ თვალსაჩინო სამსახურს გეწევენდნენ სტახანოვური სკოლები, სადაც მოწინავე ადამიანები თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ ახალგაზრდა მუშებს უშუალოდ დაზგასთან, სამუშაოს პრაქტიკული ჩვენებით. ეს განსაკუთრებით ეარგად იყო მოწყობილი მექანიკურ საამქროში.

მაგრამ ქარხანაში საერთოდ სუსტად არის დაყენებული საამქროთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება. სრულიად მოუგვარებელია მანქანათმშენებელი მრეწველობის სხვა საწარმოებიდან გამოკლიების გზიარება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კონსტრუქტორთა ბიუროს მუშაობას, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს საბჭოთა კავშირის მანქანათმშენებლობის მოწინავე საწარმოებთან. ჩვენი მუშაობის ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა აღმოვფხვრათ.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გეგმების შესრულებისათვის მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს გაუმჯობესებას. ამ მხრივ მიმდინარე წელს ჩვენს საწარმოში განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, გაკეთდა 50 ლექცია, სატბარი და კონსულტაცია, ნაჩვენები იქნა 37 კინოფილმი, მოეწყო 14 მხატვრული თვითმოქმედების საღამო და 17 კოლექტიური წაყვანა კინო-თეატრებში. გატარდა კონკრეტული ღონისძიებანი მუშათა კვებისა და მომარაგების გასაუმჯობესებლად. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი რიდია, ამიტომ საჭიროა დავსახოთ და განვახორციელოთ მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი მუშათა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად

(ამხ. ვ. კორძაძე)

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ბელადის მოხსენებიდან და ბრძანებიდან გამომდინარე ამოცანებიც შესაბამისად ძირეულად წინადადებები შემოიტანეს.

მაგრამ ღონისძიების დასახვა როდი კმარა. მთავარია მისი განხორციელება, ცხოვრებაში გატარება. ამისათვის საჭიროა ფართოდ გავშალოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა და ქარხნის მთელი კოლექტივი რაკაბათ საწარმოო გეგმებით გადაჭარბებით შეასრულებისათვის ბრძოლაში.

წარმოებას ხასიათის გამო ღია პარტიულ კრებას ვერ ესწრება მუშა-მოსამსახურეთა გარკვეული ნაწილი. ამიტომ კომუნისტმა აგიტატორებმა მუშებს ფართოდ უნდა გააცნონ კრების მიერ ამხანაგ სტალინის მოხსენებიდან და ბრძანებიდან გამომდინარე ამოცანათა განსახორციელებლად დასახული ღონისძიებები, გაპოარკვიონ, თუ ვის რა შეეძლება გააკეთოს ამ მხრივ, და დაეხმარონ მათ ვალდებულებათა შესრულებაში. საქარხნო და საამქრო კომიტეტების ინტერესები, 10. სსრ კავშირი მტკიცე მშვიდობიანობისა და საიმედო უშიშროების უზრუნველსაყოფად იბრძვის.



ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის ინჟინერი ამხ. თ. ჯულაშვილი სწავლობს ამხანაგ სტალინის მოხსენებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავზე".



უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის შენობა კიევში.
ფოტო გ. უგრინოვიჩისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

დონორები

ინსტიტუტის მოსაღები ოთახი ხალხით აჭრელებულია. უმეტესობა ქალებია, აქ აბსოლუტურად ჯანმრთელნი მოსულან თავიანთი სისხლის მისაცემად. აკადემიფოსა ან სისხლის შემადგენელობის ცოტაოდენი ცვლილებაც კი დონორისათვის ხელის შემშლელი ხდება. სისხლის თვითეულ კუბიკურ სანტიმეტრში უნდა იყოს 4-4½ მილიონი სისხლის წითელი ბურთული და 70-80 პროცენტი გემოგლობინი.

სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა დონორთა რიცხვი. მეზნებარე პატრიოტები საკუთარ სისხლს აძლევენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის, იცან, რომ კონსერვირებული მათი სისხლი ეგზავნება ფრონტს, ჰოსპიტლებსა და საავადმყოფოებს დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა განსაკურნებლად.

რამდენი აქტიური დონორი ჰყავს თბილისის სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს!

პატრიოტი ქალი მარიამ იაკაშვილი დღიდან ომის დაწყებისა სისტემატურად აძლევს სისხლს. ასევე აქტიური დონორია ფრონტელის დედა შელიუნინა.

საბჭოთა მოქალაქის პატრიოტულ თავდადებაზე ნათლად მეტყველებს ამბ. ალ. მჭედლიშვილის სადონორო წიგნაკი. ალ. მჭედლიშვილი ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მუშაკია. ყოველი ღირსშესანიშნავი დღესასწაულის წინ ანდა ჩვენი მშობლიური წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებთან დაკავშირებით იგი ზეციური განწყობილებით მიდიოდა სისხლის მისაცემად. „სამამულო ომის წლებში მე მივეცი თითქმის ათი ლიტრი სისხლი, — ამბობს ა. მჭედლიშვილი, — და იმის შეგნება, რომ მე სიცოცხლე შევუნარჩუნე ათობით დაჭრილ მებრძოლს, რომლებმაც სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღვარეს თავიანთი უმწიკლო სისხლი, მგვრის უდიდეს სიხარულს, რომლის განცდაც კი შეუძლია ადამიანს“.

აქტიურ დონორთა რიცხვს ეკუთვნიან აგრეთვე მეთაურთა ცოლები ნაკაიძე, ზიკოვა, ფეუტოვა, ინეინერი გინზბურგი (სარტოფოგრაფიული ფაბრიკა), ამბ. თარხანოვა და შანშიკა („ზარია ვოსტოკა“), გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობები პუსეკაი და კობარეკი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ბერიოს რაიონის განყოფილების ინსტრუქტორი მკრტიჩიანი და სხვ.

დონორებად ითვლებიან თვით ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკებიც და თანამშრომლებიც, რომელნიც ყოველ წუთს მზად არიან დიდი რაოდენობით მისცენ თავიანთი სისხლი, როგორც კი საჭიროება მოითხოვს. ამ მხრივ ყურადღების ღირსნი არიან ექიმები ი. აკირტავა (დონორთა განყოფილების გამგე), სვეშენსკაია, ჟორდანია, ოზაშვილი, ჩიქობავა, პრეობრაჟენსკაია, კუკუშკინა და სხვ.

ინსტიტუტმა საბჭოთა კავშირის „საპატიო დონორის“ მედალზე წარადგინა თავისი 28 აქტიური დონორი, ხოლო ინსტიტუტის ფილიალებიდან ჯილდოზე წარდგენილია 29 დონორი.

კარგად მუშაობს საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანსახკომთან არსებული სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი და ამ საქმეში უდაოდ დიდი დამსახურება მიუძღვის აკადემიკოს გ. მუხაძეს, რომელიც 1932 წლიდან ხელმძღვანელობს ამ ორგანიზაციას. ომის პერიოდში ინსტიტუტმა განსაკუთრებით გააცხოველა მუშაობა. მან უზრუნველყო ფრონტისათვის სისხლის მიწოდება და გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავად ომით გამოწვეული ძნელი პირობებისა, არ შეფერხებულა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკების მიერ დაფრენილია ერთი სადოქტორო, 2 სადაქნდიდატო და 40-მდე სხვა სამეცნიერო ნაშრომი.

ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა ექიმმა ი. შვანგირაძემ გამოიგონა ფრონტისათვის სისხლის გადასაგზავნი გამარტივებული იზოთერმიული ყუთი, სისხლის გადასხმის გამარტივებული ამპულა და გამარტივებული სოპერაციო მაგიდა სისხლის შემრევი აპარატით, რომელიც სისხლის გადასხმის დროს მუშაზელის ეკონომიას იძლევა.

ამჟამად ინსტიტუტი მოსამზადებელ მუშაობას ეწევა მშრალი პლაზმის ქარხნის აშენებისათვის. ეს ქარხანა, თანახმად სსრ კავშირის ჯანსახკომის განკარგულებისა, მოკლე ხანში უნდა გაიხსნას.

კარგი მუშაობისა და ფრონტის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებული არიან ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი გ. მუხაძე შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და ექიმი თ. ფკანია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

როგორც აღნიშნული იყო, სისხლის გადასხმის ინსტიტუტმა დიდი მუშაობა გასწია დონორთა კადრების მოსამზადებლად. მაგრამ საჭიროა კიდევ უფრო მეტი დონორის მიზიდვა ამ პატრიოტულ საქმეში, რომელსაც უდიდესი თავდაჯერებული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიისა და წითელი ფლოტის მებრძოლები, რომელნიც თავგანწირვით იბრძვიან სამშობლოს ღირსებისათვის, დარწმუნებულნი არიან, რომ მათთვის არაფერს იშურებენ საბჭოთა ზურგის მუშაკები. ათასობით ჯანმრთელი საბჭოთა პატრიოტები დიდი ხალისით აძლევენ თავიანთ სისხლს, რათა შეუნარჩუნონ სიცოცხლე ჩვენს მეომრებს ვერაგი მტრის საბოლოოდ განადგურებისათვის.

ალ. ჭეკლია

მეცენატობის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდები

მოსკოვი, 29 ნოემბერი. (საკადესი). საქართველოს მეცენატობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან არსებული მცენარეთა დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი ნ. ე. ალექსიძე 15 წელზე მეტია, რაც მუშაობს სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ახალ მეთოდებზე. განსაკუთრებული მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მეცნიერის ახალ კაპიტალურ ნაშრომს, რომელიც მიძღვნილია ფილოქსერისაგან — მეევენახეობის ძირითადი მავნებლისაგან მეევენახეობის დაცვისადმი. თავის დაკვირვებათა საფუძველზე ამბ. ალექსიძემ გამოარკვია ვაზზე ფილოქსერის განვითარების ყველა სტადია წელიწადის სხვადასხვა დროს, ამ მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი მეთოდები. ავტორმა შეიმუშავა ლინიაძეებანი, რომლებიც თავიდან აგვაცდენენ ვაზის დაავადებას ფილოქსერისთან.

სსრ კავშირის საბჭომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი საკოლის საქმეთა კომიტეტის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ამბ. ალექსიძეს მიანიჭა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

გეგმების შესრულება

მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებმა ბოსტნეული კულტურების დამზადების 1944 წლის გეგმა 20 ნოემბრისათვის 106,8 პროცენტით შეასრულეს. გეგმით გათვალისწინებული 1.524,1 ტონის ნაცვლად დამზადებულია 1.627,8 ტონა ბოსტნეული. დიდი გადაჭარბებით შესრულდა კომბოსტოს ჩაბარების გეგმა. ბოსტნეულის ჩაბარების გეგმები ვადამდე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ხოფელ გოროვანის კეცხოველის სახელობის (თავმჯდომარე მ. გედევანიშვილი), სოფელ ძალისის ბაქრაძის სახელობის (თავმჯდომარე დ. მუხრანელი), სოფელ ერედის ვოროშილოვის სახელობის (თავმჯდომარე ბ. ზაქაიძე), სოფელ წეროვნის კიროვის სახელობის (თავმჯდომარე ვ. ახალაშვილი) კოლმეურნეობებმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანი ქართველიშვილი
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მელიქიშვილი

* * *

ქასპი („კომუნისტის“ ხაკუთარი კორესპონდენტისაგან). ამხანაგ სტალინის მოხსენებით აღფრთოვანებულმა კოლმეურნეებმა საშემოდგომო თესვის გეგმა 20 ნოემბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს. ამჟამად წარმატებით გრძელდება მზრალად ხვნა.

ვ. გუზალაძე

„კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

„ჭუნგოს აკლია გამრჯე ხელი“

ამ სათაურით ჟი ნექტემბრის „კომუნისტში“ დაიბეჭდა კორესპონდენცია. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ამბ. ვ. სიხარულიძე გვატყობინებს: კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. ტუნგოს პლანტაციების დაწესებულ ვადებში დაუმუშავებლობისათვის გაფრთხილება მიეცათ სოფელ ასკანის ვოროშილოვის, ჭანიეთის ბაქრაძის, ლიხაურის ლენინის, სილაურის ჩარკვიანის, ხვარბეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, წვერმაღლას და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს

რაიმოწვანს დაევალა ზემოაღნიშნულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მივლინოს სპეციალისტები პლანტაციების მოვლის გაუმჯობესებისა და ტუნგოს მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

დეკეფეები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 30 ნოემბერი. (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეგანდელ ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები იერიშზე გადაეიდნენ ჰაილენკირხენ-იულიხის რაიონში, ლინიხის დასავლეთით (გერმანია), მოწინააღმდეგისაგან გასწმენდეს კოსლარი და წინ წაიწიეს ამ სექტორის სხვა ადგილებში.

დიურენ-ჰიურტგენის რაიონში (გერმანია) მოკავშირეთა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის კონტრიერიშები ინდენთან და ლამერსდორფთან, ფრენეის ჩრდილოეთით. ორივე ქალაქში ბრძოლები გრძელდება. იუნგერსდორფში მტერმა წინააღმდეგობა შეასუსტა. გაფთრებული ბრძოლების შემდეგ მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია ლანგერე